პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 39-ე წელი № 250 (11556) | კვირა, 25 ოქტომბერი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

ხალხებს მშვიდობა ახარებს!

საქართველოს მშრომელები ერთსულოვნად იწონებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტის შედეგებს

მშვიდობის ვახტზე...

ეს ახალგაზრდა გორის ბამბეულის კობინატის სამღებრო საამქროს ოსტატის თანაშემწე კომუნისტი გურამ სრესელია. იგი სამწოფის ატესტატით მოვიდა წარმოებაში. ახლა ის კომპლექტი, რომელსაც გურამი ხელმძღვანელობს ერთ-ერთი მოწინავეა კომბინატში. გასულ თვეს კომპლექტმა საწარმოო დავალება 139 პროცენტით გაანაღდა. გურამ სრესელი მშვიდობის ვახტზე დგას და დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

პირუტყვისა და ფრინველის გადამუშავების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს პირუტყვისა და ფრინველის გადამუშავების გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი და ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნავენ, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის განხორციელებულმა ღონისძიებებმა შესაძლებელი გახადეს მნიშვნელოვნად გავადიდოთ პირუტყვის დამზადება, ხორცის სარეწველო გამომუშავება და გაუმჯობესოთ მოსახლეობის მომარაგება ხორცის პროდუქტებით.

ამასთანავე დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პირუტყვისა და ფრინველის გადამუშავების ორგანიზაციაში სერიოზული ნაკლოვანებებია.

მთელ რიგ ოლქებში, მხარეებსა და რესპუბლიკებში ხორცის კომბინატებისა და მაცივრების მშენებლობა ნელი ტემპით მიმდინარეობს და ჩამორჩება საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას, სერიოზულ სიძნელეებს ქმნის პირუტყვისა და ფრინველის დროულად მიღებასა და გადამუშავებაში. ძალიან ცოტა შენდება ხორცის გადასამუშავებელი საწარმოები და მაცივრები საბამხმარებლო კოოპერაციის, ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში, აგრეთვე ხორცისა და პირუტყვის გადასამუშავებელი საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოები.

ხორცის მრეწველობას დროზე ვერ უზრუნველყოფენ ტექნოლოგიური და განსაკუთრებით სამაცივრო მოწყობილობით, რაც აყოვნებს ახალი ხორცკომბინატებისა და ფრინველის კომბინატების ექსპლოატაციოდ გადაცემას და მოქმედი ხორცკომბინატებისა და ფრინველის კომბინატების ხელახალ ტექნიკურ აღჭურვას.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ დადგა დრო გადაჭრით გავაუმჯობესოთ პირუტყვისა და ფრინველის მიღებისა და გადამუშავების საქმის ორგანიზაცია. საჭიროა მოკლე ვადებში შეკმნათ ეკონომიური, მცირე სიმძლავრის, ტექნიკურად აღჭურვილი ხორცის გადასამუშავებელი საწარმოების ფართო ქსელი და უზრუნველყოთ პირუტყვისა და ფრინველის გადამუშავება, როგორც წესი, მათი გაზრდისა და გასუქების ადგილებში, აგრეთვე მსხვილ მომხმარებელ ცენტრებში და ამით თავიდან ავიცილოთ პირუტყვის ზედმეტი და შორ მანძილზე გადაყვანა. სოფლის მეურნეობის მშრომელთა მოძრაობა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში გაიმალა იმისათვის, რომ ვადამდე შესრულდეს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შვიდწლიანი გეგმის დავალენი, საჭიროს ხდის, რომ უკვე ახლა განვახორციელოთ გადაუდებელი ღონისძიებანი ხორცის მრეწველობის ახალი საწარმოებისა და მაცივრების მშენებლობის დასაჩქარებლად და მოქმედთა გასაფართოებლად იმ მიზნით, რომ ვადამდე განვახორციელოთ პირუტყვისა და ფრინველის გადასამუშავებელ საწარმოო სიმძლავრეთა მატება, რომელიც დასახულია შვიდწლიანი გეგმით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებსა და სახალხო მეურნეობის საბჭოებს უზრუნველყონ 1960-1963 წლებში პირუტყვისა და ფრინველის გადასამუშავებელ საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავება იმ მოცულობით, რომელიც გათვალისწინებულია 1959-1965 წლების შვიდწლიანი გეგმის საკონტროლო ციფრებით, რისთვისაც აშენდეს ხორცის გადასამუშავებელი ახალი საბჭოფიფო საწარმოები და გაფართოვდეს და ტექნიკურად ხელახლა აღიჭურვოს მოქმედი საწარმოები. ამასთან მიცემულია წინადადება დაჩქარდეს ხორცის კომბინატების, კომბინატებთან ფრინველის გადასამუშავებელი საამქროებისა და ფრინველის გადასამუშავებელი საწარმოების მშენებლობა იმ რაიონებში, სადაც სწრაფად ვითარდება მეცხოველეობა და სასაქონლო მეფრინველეობა, პირველ რიგში ჩრდილოეთ კავკასიის, უკრაინის, მოლდავეთის, დასავლეთ ციმბირის, ურალისა და ყაზახეთის რაიონებში.

ხორცის გადასამუშავებელ ახალ საწარმოთა და მაცივართა მშენებლობა უნდა ხორციელდებოდეს სულ ბევრი ორ წელიწადში.

ხორცისა და სხვა მალფუჭებადი პროდუქტების შენახვისა და სათანადო პირობების შექმნისათვის მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, „ცენტროსოიუზსა“ და სახალხო მეურნეობის საბჭოებს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ სამაცივრო ტევადობის მატების გადიდება 1960-1965 წლებში 2,3-ჯერ, შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი, რათა მნიშვნელოვნად გადიდდეს მოქმედი საყინავი კამერების გამტარუნარიანობა, გავართოვდეს მალეგამყინავი აპარატების გამოყენება და მკვეთრად გადიდდეს ხორცის წარმოება ბლოკებში.

იმ მიზნით, რომ შემცირდეს პირუტყვის შორ მანძილზე და არარაციონალური გადაყვანა, დაჩქარდეს ხორცის გადასამუშავებელ საწარმოთა ამუშავება და შემცირდეს მათი ღირებულება, საჭიროდ არის ცნობილი, რომ ხორცის კომბინატები მომავალში შენდებოდეს უპირატესად ცვლაში 30-50 ტონა ხორცის გამომუშავების სიმძლავრისა, ისე რომ პირუტყვი მიაწოდონ 50-150 კილომეტრ რადიუსში ადგილობრივი პირობების მიხედვით. დასახულია მნიშვნელოვნად გაფართოვდეს ხორცის გადასამუშავებელი პატარა საწარმოებისა და პირუტყვისა და ფრინველის საკლავი მაცივრებიანი პუნქტების მშენებლობა სამომხმარებლო კოოპერაციისა და ადგილობრივი მრეწველობის სისტემაში, აგრეთვე საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ხორცის გადასამუშავებელი საწარმოებისა, რათა კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეძლონ გადაამუშაონ პირუტყვი და ფრინველი უშუალოდ ადგილობრივ. ხორცის გადასამუშავებელ საწარმოთა მშენებლობა, როგორც წესი, უნდა ხორციელდებოდეს ტიპური პროექტების მიხედვით.

სსრ კავშირის სახმშენს წინადადება მიეცა მოაწყოს კონკურსი ხორცკომბინატებისა და ფრინველკომბინატების ტიპური პროექტების შესამუშავებლად. ახალი ტიპური პროექტების შემუშავების დროს გათვალისწინებულ იქნას საწარმოთა გაფართოებისა და ერთ მოედანზე ხორცკომბინატების და კვების მრეწველობის სხვა საწარმოთა მშენებლობის კოოპერირების შესაძლებლობა, უნიფიცირებული სტანდარტული ასაწყობი რკინაბეტონის კონტრუქციების გამოყენება, საწარმოო პროცესებისა და სატრანსპორტო ოპერაციების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, აგრეთვე ძეხვეულისა და კულინარიული ნაწარმის, ხორცის ნახევარფაბრიკატებისა და დაფასოვებული ხორცის გამომუშავების ორგანიზაცია ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები მოვალენი არიან უზრუნველყონ, რომ 1960-1963 წლებში გაკეთდეს და ხორცისა და ფრინველის გადასამუშავებელი მრეწველობის საწარმოებს გადაეცეს ტექნოლოგიური და სამაცივრო მოწყობილობა, რომელიც საჭიროა სიმძლავრეთა მატების დაწესებული დავალების შესასრულებლად. გათვალისწინებულია ახალ სახეობათა ტექნოლოგიური მოწყობილობის საცდელი ნიმუშების გაკეთება და სერიული წარმოება.

ხორცის მრეწველობის საწარმოებისათვის სამაცივრო დანადგარებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობის წარმოების გადიდებისა და მაცივართა მშენებლობის მიზნით დამტკიცებულია ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ მთელი რიგი მანქანათასამშენებლო ქარხნების რეკონსტრუქციას, გაფართოებასა და სპეციალიზაციას.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტები, რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომები და სახალხო მეურნეობის საბჭოები მოვალენი არიან გადაჭრით გაიუმჯობესონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სახელმწიფოსათვის მისაყიდი და ჩასაბარებელი პირუტყვის საძოვარზე და ბაგაზე გასუქება, არ დაუშვან გაუსუქებელი, მშლი პირუტყვის, განსაკუთრებით მცირეწონიანი მოზარდეულის ჩაბარება დასაკლავად. დაწესდეს, ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, გადასამუშავებლად ჩასაბარებელი პირუტყვის ასაკობრივი და წონითი კონდიციები; უზრუნველყოფილ იქნას წლის განმავლობაში ხორცის უფრო თანაბარზომიერი წარმოება, სახელმწიფოსათვის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ პირუტყვისა და ფრინველის მიყიდვა და ჩაბარება, **რათა შეიქმნას პირობები ხორცითა და ხორცის პროდუქტებით მოსახლეობის უკეთესი მომარაგებისა და ხორცის მრეწველობის საწარმოო სიმძლავრეთა უფრო სრული გამოყენებისათვის.**

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები მოვალენი არიან განახორციელონ ღონისძიებანი, რათა გაფართოვდეს გაცივებული და დაფასოვებული ხორცის გაყიდვა, ფართოდ დაინერგოს სავაჭრო ქსელში ხელოვნური სიცივე და გადიდდეს ხორცისა და ხორცპროდუქტების სავაჭრო სპეციალიზებული მაღაზიების რაოდენობა.

გადასამუშავებელი პირუტყვის თანაბარზომიერი მიწოდების უზრუნველსაყოფად რეკომენდებულია რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში მოეწყოს სახელმწიფო შესყიდვით მიღებული პირუტყვის ზრდის დასამთავრებელი, საძოვარსა და ბაგაზე გასასუქებელი სპეციალიზებული მეურნეობანი, მათ შორის პირუტყვის კონცენტრაციის ბაზები მსხვილი ხორცკომბინატების ზონებში, დამტკიცდეს ხორცის გადასამუშავებელი და ფრინველის გადასამუშავებელი საწარმოებისათვის პირუტყვისა და ფრინველის მიწოდების თვიური გრაფიკები.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოუწოდეს ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების პარტიულ, საბჭოთა ორგანოებსა და პროფკავშირულ ორგანიზაციებს გააჩაღონ ხორცის მრეწველობის მუშაკთა სოციალისტური შეჯიბრება იმისათვის, რომ წარმატებით შესრულდეს ხორცის ინდუსტრიის შემდგომი აღმავლობისა და ხორცითა და ხორცპროდუქტებით მოსახლეობის მომარაგების გაუმჯობესების დასახული ამოცანები.

ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი გამგზავრების შესახებ საფრანგეთში

საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დე გოლმა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი მიიწვია საფრანგეთში. ნ. ს. ხრუშჩოვმა მადლობა გადაუხადა გენერალ დე გოლს და აცნობა, რომ იგი იღებს მის მიწვევას.

საფრანგეთში ნ. ს. ხრუშჩოვის გამგზავრების დროისა და პროგრამის საკითხი დამატებით იქნება შეთანხმებული.

მხურვალე მოწონება

რუსთავი, 23 ოქტომბერი. (საქდესი). სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის სავალცავ-საბარატო საამქროს უდიდეს კორპუსში გუშინ შეიკრიბნენ საწარმოს მუშები, ინჟინრები, ტექნიკოსები და მოსამსახურეები. ისინი მოვიდნენ კრებაზე, რომელიც მიეძღვნა საბჭოთა მთავრობის მეთაურის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობას ამერიკის შეერთებულ შტატებში.

კრება გახსნა ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ჟამეერაშვილმა.

სიტყვა მიეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. პ. ვ. კოვანოვს. მან თქვა, რომ საბჭოთა ადამიანები შეუნელებელი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობას შეერთებულ შტატებში. დიდი საბჭოთა ხალხის წარმომადგენლის ყოველ სიტყვას, ყოველ საუბარსა და შეხვედრას ამერიკაში ხვდებოდნენ როგორც ჩვენი ფიქრები, გრძნობებისა და მისწრაფებების გამოხატულებას. ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხს საბჭოთა მთავრობის მეთაურის მოგზაურობა ამერიკაა შეერთებულ შტატებში მიაჩნია თვალსაჩინო წვლილად საერთაშორისო დაძაბულობის შენელებაში, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცებაში.

სიტყვას ამბობს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი, ბრძმედის საამქროს ოსტატი ამხ. ა. ძამაშვილი.

— საყოველთაო და სრული განიარაღების საბჭოთა პროგრამამ, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვმა გამოაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ტრიბუნიდან, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსოფლიოზე, იგი მოიწონა და მხარი დაუჭირა ყველა ხალხმა.

მილსაგლინავი „140“ დგანის ოსტატმა ამხ. ა. მაზურკევიჩმა, ლაბორანტმა ამხ. ე. ყურაშვილმა და სხვებმა თავიანთ სიტყვებში აღნიშნეს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობა უმნიშვნელოვანესი ისტორიული მოვლენაა.

მეფოლადე გ. სიგუამ განაცხადა, რომ საბჭოთა ადამიანები მხურვალედ იწონებენ საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, ისწრაფვიან შეიტანონ თავიანთი წვლილი მშვიდობისათვის ბრძოლის წმიდათა წმიდა საქმეში. წლის დამდეგიდან, თქვა მან, მე გამოვუშვი 2.500 ტონაზე მეტი ფოლადი გეგმის გადამეტებით. ვალდებულებას კისრულობ წლის დამლევამდე გამოვუშვა კიდევ 500 ტონა ზეგეგმითი ლითონი.

კრებაზე გამოვიდნენ აგრეთვე რკინიგზის საამქროს ბრიგადირი პ. მოდებაძე, ფურცელსაგლინავი საამქროს უფროსი ი. ცინცაბაძე.

მიღებულ რეზოლუციაში ქარხნის კოლექტივმა ერთსულოვნად მოიწონა ამერიკის შეერთებულ შტატებში ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოგზაურობის შედეგები.

საიმედო გურჯი

ქალაქ ქუთაისის საწარმოებში და იბალშენებლობებზე იმართება ხალხმრავალი კრებები, მიტინგები, ეწყობა საუბრები, მშრომელები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ აზრებსა და ფიქრებს, მხურვალედ იწონებენ საბჭოთა მთავრობის მეთაურის ნ. ს ხრუშჩოვის ისტორიულ ვიზიტს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ამ ვიზიტის შედეგებსა და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივ კომუნიკეს.

ელექტრომექანიკური ქარხნის მუშათა ინჟინერ-ტექნიკოსთა და მოსამსახურეთა ხალხმრავალ მიტინგზე სიტყვით პირველი გამოვიდა სამეფლოს საამქროს ნოვატორი მუეფლი ლევან გეგუჩაძე, რომელმაც განაცხადა:

— ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, მხურვალედ ვიწონებთ მშობლიური კომუნისტური პარტიის, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა მთავრობის ბრძნული სამშვიდობო პოლიტიკას, რომლის მიზანია მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება.

თვითეული ჩვენგანის მოვალეობაა თავდადებული შრომით კიდევ უფრო განვამტკიცოთ მშვიდობის საქმე, დავაჩქაროთ ტექნიკური პროგრესი, ვადამდე შევასრულოთ შვიდწლიანი გეგმა. პირადად კისრულობ ყოველწლიური დავალება 300 პროცენტით შევასრულო.

მიტინგზე სიტყვები წარმოთქვეს და ახალი გადიდებულ ვალდებულებები იკისრეს აგრეთვე სამწყობო-მექანიკური საამქროს ხარატმა მ. ხვედელიძემ, სამოდელო საამქროს მუშამ ე. გრიგორიევმა და სხვ.

საქართველოს სს რესპუბლიკაში შაქრის ჭარხლის დამზადების წლიური გეგმის შესრულება 1959 წლის 20 ოქტომბრისათვის. (პროცენტობით).

	სულ	მათ შორის: კოლმეურნეობებში
სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი	32,1	32,1
გორის რაიონი	27,2	27,2
ქარელის	44,5	60,6
კასპის	40,0	39,8
ხაშურის	34,1	33,7
სულ საქართველოს სსრ-ში	35,8	37,5

ქართველი ხალხის ეროვნული კულტურის დიდი ზეიმი

24 ოქტომბერს თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში გაიმართა საიუბილეო საღამო, რომელიც მიეძღვნა დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავს.

დარბაზში შეიკრიბნენ თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, წარმოების მოწინავენი, ლიტერატურნი, მეცნიერების, ხელოვნების მოღვაწეები. საზომოდ მორთული სცენის სიღრმეში ჰკიდია სულხან-საბა ორბელიანის პორტრეტი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკური საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველმა მდივანმა პოეტმა **ი. აბაშიძემ.**

სიტყვა ეძლევა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს **პროფესორ კ. კეკელიძეს.** იგი ამბობს:

— სულხან-საბა ორბელიანს „საქართველოს მამას“ ეძახოდნენ. ეს სახელი დაიმსახურა მან, თუ გვეხსომება მისი საქმიანობა და თავდადება ბედშავი სამშობლოსათვის: მთელი საუკუნის განმავლობაში საქართველოში შექმნილი იყო ისეთი მდგომარეობა, როდესაც მის ბედს განაგებდნენ ირანის შაჰის მიერ მოვლენილი პირები. ქვეყანაში ფეხს იდგამდა, ვრცელდებოდა და მტკიცდებოდა მაჰმადიანობა, ირყეოდა და ირყვნებოდა ეროვნული ნორმები ცხოვრებისა, ეროვნული ფსიქოლოგია და იდეოლოგია. ხალხში ინერგებოდა ისეთი მანკიერებანი, რომელიც ქმნიდა ეროვნული სახის დაკარგვის საშიშროებას. ასეთ პირობებში საჭირო შეიქმნა გამოჩენილიყო განათლებული, საშობლოს სიყვარულით აღგზნებული, ენერგიითა და ჭკუით დაჯილდოებული, შორსმჭვრეტელი და თავდადებული ადამიანი, რომელიც ქართველ ხალხს თვალს აუხელდა და დაანახვებდა იმ პოლიტიკურ და ეროვნულ პირობებს, რომლის გარემოცვაში იგი იმყოფებოდა. ისტორიამ ასეთი როლი სულხან-საბა ორბელიანს დააკისრა.

შემდეგ საკავშირო მწერალთა კავშირის მწერალთა სახელით სიტყვას ამბობს ცნობილი რუსი მწერალი **ვ. კოჩეტოვი.** იგი ლაპარაკობს სულხან-საბას „სიბრძნე სიცრუის დიდ პოპულარობაზე საბჭოთა მკითხველებს შორის და მაღალ შეფასებას აძლევს დიდი ქართველი მწერლის შესანიშნავ წიგნს „მოგზაურობა ევროპაში“.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი პროფესორი **ა. შანიძე.**

— სულხან-საბა ორბელიანის მრავალმხრივსა და მეტად ნაყოფიერ მუშაობაში, — ამბობს იგი, — ყველაზე მნიშვნელოვანია მისი ქართული ლექსიკონი, რომლითაც მან საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ლექსიკოგრაფიას ჩვენში.

სიტყვების ახსნის წესით, დოკუმენტაციის მოყვანით და სანდო მასალის შერჩევით სულხან-საბას ლექსიკონი თავისი დროის მეცნიერული მოთხოვნილების სიმაღლეზე დგას. იგი შედგენილია დიდი სიყვარულით და საქმის ცოდნით. ამ ლექსიკონს დღესაც არ დაუკარგავს თავისი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობა და წლების განმავლობაში დარჩება როგორც ცოცხალი „სიბრძნის წყარო“, როგორც საუკეთესო მონაპოვარი ქართული კულტურისა და მეცნიერული აზროვნებისა.

— „მთელ საქართველოს მამად მიაჩნიაო“, — წერდა ფრანგი მისიონერი რიშარი 1712 წელს საფრანგეთის მინისტრს საბას შესახებ, — თქვა თავის გამოსვლაში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა პოეტმა **გ. ლეონიძემ.** სამშობლოსათვის თავდადებული შრომა, დიდი ზრუნვა თავისი ხალხის ბედნიერი მომავლისათვის განსაზღვრავს სულხან-საბა ორბელიანის მოღვაწეობას.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა მწერალმა **კ. გამსახურდიამ** თავის გამოსვლაში დაახასიათა სულხან-საბა ორბელიანი როგორც გამოჩენილი პოლიტიკოსი და დიპლომატი, რომელიც თავის მრავალმხრივ მოღვაწეობაში ყოველთვის იბრძოდა მშობლიური ქვეყნის ინტერესებისათვის.

ცდილობდა რა გადაერჩინა სამშობლო და მშობელი ხალხი ეროვნული განადგურებისაგან, სულხან-საბა ორბელიანი წავიდა დასავლეთში, რომ ეძებნა აღმოსავლეთის ტირანიისაგან თავდაცვის საშუალება საფრანგეთის მეფისა და რომის პაპის სახით. მაგრამ მეგობრობის ამ ძიებამ გამოაჩინა საქართველოსა და რუსეთის მეგობრული ურთიერთობის ახალი გაგაზრება. უფრო საიმედო გზებმა ქართული დიპლომატია მიიყვანა რუს ხალხთან, მოსკოვს, სადაც არჩილ მეფემ შექმნა ქართული კოლონია.

— საერთოდ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში და კერძოდ სულხან-საბა ორბელიანის შემოქმედებაში,— თქვა პროფესორმა **ა. ბარამიძემ,** — განსაკუთრებული ადგილი უკავია აღმოსავლური იგავ-არაკების ცნობილი კრებულის „ქილილა და დამანას“ ქართულ რედაქციას. „სიბრძნე სიცრუისა“, „სწავლანი“ და „მოგზაურობა ევროპაში“ ქართული მხატვრული პროზის შესანიშნავი ძეგლებია, ხოლო „ქილილა და დამანაში“ სულხან-საბა ორბელიანმა გამოამეცადინა მოლეკსის უბადლო ნიჭი.

საიუბილეო საღამო გადაიქცა ქართველი ხალხის ეროვნული კულტურის დიდ ზეიმად, რომლის ბედნიერი მომავლისათვის ბრძოლას შესწირა მთელი თავისი კეთილშობილური სიცოცხლე დიდმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ სულხან-საბა ორბელიანმა. მადლიერი ქართველი ხალხი უდიდესი სიყვარულით იგონებს თავისი საყვარელი შვილის, მგზნებარე პატრიოტის ღირსეულ სახელს.

საზეიმო საღამოს დასასრულს გაიმართა დიდი კონცერტი. (საქდესი).

საიუბილეო საღამო რუსთაველის სახელობის თეატრში

ამხანაგი ნ. ა. მუხიტდინოვი თბილისში

24 ოქტომბერს თბილისში გზად გაჩერდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაციის წევრები ნ. ა. მუხიტდინოვის მეთაურობით, რომელნიც ბრუნდებოდნენ ინდონეზიის რესპუბლიკაში მოგზაურობიდან. თბილისის აეროდრომზე საბჭოთა პარლამენტის დელეგაციის წევრებს შეხვდნენ ამხანაგები გ. დ. ჯავახიშვილი, ი. ს. დოლიძე, მ. ი. კუჭავა, ზ. ა. კვაჭაძე, ა. მ. ლაბახუა, მინისტრები, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პასუხისმგებელი მუშაკები.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ დელეგაციის წევრები ამხ. ნ. ა. მუხიტდინოვის მეთაურობით მოსკოვს გაფრინდნენ. (საქდესი).

პოლონეთის კულტურის კვირეული საქართველოში

კვირეულის დღიური

დღეს დილით პოლონეთის კულტურის კვირეულის მონაწილენი ბათუმიდან მატარებლით თბილისში ჩამოდიან. ეწვევიან საქართველოს სახოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დიდმის მეურნეობას, შეხვდებიან მეურნეობაში პრაქტიკაზე მყოფ ინსტიტუტის სტუდენტებს.

საღამოს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში პოლონელ მსახიობთა მონაწილეობით გაიმართება დასკვნითი კონცერტი.

კინოთეატრებში გრძელდება პოლონური ფილმების ფესტივალი.

22 ოქტომბერს გორს ეწვია პოლონეთის კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია. დელეგაციის წევრებმა დათვალიერეს ქალაქის ღირსშესანიშნაობანი. სურათზე: პოლონელი სტუმრები ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმში.

ფოტო ა. ტაბატაძისა.

ქართლის ვაშლი

მშვენიერი პანორამა გადაგეშლება თვალწინ, როცა მაღლობიდან გადასცქერი ქარელის რაიონის აყვავებულ მიდამოებს, ასეულ ჰექტარზე გადაჭიმულ, ბრეთის მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ბაღებს. ძვირფასი ნაყოფით დახუნძლულა ვაშლის ხეები.

როგორ შეიძლება დაივიწყო აქაური გაზაფხული, როცა თეთრი ყვავილებით გადაიპენტება ბრეთის ბაღნარი. მაგრამ კიდევ უფრო წარმტაცი და ლამაზია შემოდგომა. გემრიელი ნაყოფის მოსაკრეფად ზოგჯერ მუშახელიც არ ყოფნით და დასახმარებლად კოლმეურნეებს იწვევენ, როცა ვაშლის კარგი მოსავალია. ამ მხრივ წელს ბრეთელებს არ ეთქმით სამდურავი. ისინი საველმწიფოს ამარებენ ექვსი ათას ტონაზე მეტ საუკეთესო ხარისხის ვაშლს.

სურათზე: ვაშლის კრეფა ბრეთში.

ფოტო შ. ბეჟანიშვილისა.

პირველი სამთო კომბაინი

ჟიათურა. (საკ. კორ.). პარტიის ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებების ხორცშესხმისათვის მარგანეცის მაღაროებში გადადგმულია პირველი ნაბიჯები. ლენინის სახელობის მაღაროში და მაღარო „ახალ ითხვისში“ ითვისეს ახალი კონსტრუქციის მადნის ელექტრომტვირთავი მანქანები, რომელთა წარმადობა მაღალია.

ახლახან აქ მიიღეს ახალი მარკის ორი გამყვანი სამთო კომბაინი. მისი კონსტრუქცია შექმნა მოსკოვის საპროექტო ინსტიტუტის „გიპროუგლემაშის“ საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივმა ინჟინერ ვ. ობმოროშოვის ხელმძღვანელობით. იგი დაამზადა კოპეისკის ს. მ. კიროვის სახელობის სამთო მოწყობილობის ქარხნის კოლექტივმა.

ახალი კონსტრუქციის სამთო კომბაინის, რომელიც პირველია ჟიათურაში, ცდიან მაღარო „ახალ ითხვისში“. ზოგიერთი კონსტრუქციული ცვლილებით იგი კარგი იქნება ჟიათურის პირობებისათვის და წარმატებით იმუშავებს მაღაროებში. კომბაინს საათში შეუძლია 2,5 მეტრი სიგანისა და ასეთივე სიმაღლის გვირაბი 3-4 მეტრზე გაჭრას. კომბაინი ერთდროულად ანგრევს მადანს და ლენტიანი ტრანსპორტიორით ტვირთავს ვაგონებში. კომბაინი უზრუნველყოფს ჭერის წესიერ მართვას, ამცირებს ბურღვაფეთქებისათვის აუცილებელ ხარჯებს.

კომბაინის გამოცდას ხელმძღვანელობს კოპეისკის ს. მ. კიროვის სახელობის ქარხნის წარმომადგენელი მ. საზიკოვი. მანქანის მუშაობას ეუფლება მაღარო „ახალი ითხვისის“ ელექტრომექანიკოსი ი. ცხელიშვილი.

რთველია ნაფარეულში

— **სამი** კვირის წინათ ცხენის ურემი დამეჯახა და ხელი მომტეხა. მკურნალობა ძვირი დამიჯდა. საბოლოო გამოჯანსაღებისათვის კიდევ ბევრი მჭირდება, მაგრამ არა გამაჩნია რა. ჯამაგირი, რომელსაც საუფლისწულოდან ვიღებ, ვალის გასასტუმრებლადაც არ მყოფნის. ჩემი ოჯახი ულუმპაუროდ არის. მოგმართავთ თხოვნით აღმომჩინოთ დახმარება.

ასეთი თხოვნით მიმართა 1905 წლის 13 ივნისს ნაფარეულის საუფლისწულო მამულის მმართველს მარკოზ მუშა წყალობაძემ.

— ნუ ცოდვილობ დახმარების მიხედ. — ასეთი რეზოლუცია დაადო მამულის გულქვა მმართველმა წყალობაძის თხოვნას.

წყალობაძეები მაშინ ბევრნი იყვნენ. ბატონი მარკოზი და მსგავსნი მისნი სისხლსა სწოვდნენ მუშებს. მათი ბრძანებით მამულში მუშაობა მზის ამოსვლისას იწყებოდა და დაბინდებისას მთავრდებოდა. მერე რამდენს იღებდნენ გასამრჯელოდ? იმდენს, რომ ლუკმაპური ეყოდათ!

კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორს ნაფარეულიდან ატყობინებდნენ:

— მუშახელი მალარიით არის დაავადებული, ვენახები დაუმუშავებელი რჩება.

ამიტომ იყო, რომ ჰექტარზე 10-15 ცენტნერზე მეტ ყურძენს ვერ იღებდნენ. ერთ წელიწადს ოცდაათი ათასი დეკალიტრი ღვინო მიიღეს და ქვეყანას ამცნეს, „მოსავალი ზღვად გასკდაო“.

ილია არჯევანიშვილს, რომელმაც 60 წელიწადს ნაფარეულის ზვრებში იმუშავა, დღევანდელ დღესავით ახსოვს წინანდელი ამბები. პენსიონერს გული შინ არ უდგება, მეურნეობის ზარი სტუმარია. ავადმოსაგონარ წარსულზე მუშებს უამბობს, წარსულს ახლანდელს ადარებს და ამაყად ამბობს:

— ახლა მზემ გაგვაცისკროვნა. წყალობაძეებს წყალობა მოგვანიჭა, ბედნიერი მომავალი დაგვიმკვიდრა. ნახეთ ახალი ნაფარეული და დატკბით მისი სიდიადით.

მართლაც საამო ხანახვაა ნაფარეულის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა. ზვრები კავკასონის მთის ძირებიდან იწყება და წყნარად მოდუდუნე ალაზანამდე აღწევს. 540 ჰექტარიდან 172 ჰექტარი შარშან და შარშანწინ გაშენეს. შვიდწლედის ბოლოს მეურნეობას ორჯერ მეტი ვენახი ექნება.

რთველია ნაფარეულში. აგერ ათ დღეზე მეტია, რაც ხუთასამდე ქალი და კაცი რქაწითელის, საფერავისა და მწვანის ვენახებს შესცვივა. კალათებში კრეფენ დაშაქრულ მტევნებს, გოდრებში აწყობენ და მარნებში გზავნიან. პირველი რვაასი ტონა ყურძენი შემატეს სახელმწიფო დოვლათს. შარშანდელთან შედარებით ყოველი ჰექტარი ათი ცენტნერით მეტ ყურძენს იძლევა.

პირველი აგროუბნის პირველი ბრიგადა პირველობს. „დიდ ზვარში“ ჰექტარზე საშუალოდ 80-90 ცენტნერ ყურძენს იღებენ. მარჯვენას უქმენენ არჩილ სესიაშვილის ბრიგადის წევრებსაც. მოწინავენი სხვებიც არიან.

— წელს, — თქვა მეურნეობის დირექტორმა ა. გოგიძემ, — უამინდობა იყო, მაგრამ მევენახეებმა აჯობეს, ვაში არ დაუზიანებინეს. ახლანდელი შემოდგომა წინანდელს არა ჰგავს, ხშირად ცივი ქარი უბერავს, წვიმაც ხშირია. ამიტომ ვაჩქარებთ რთველს, ნინო ნერსესაშვილი, ეკატერინე ფატაზოვა, ელო ბაქრაძე და სხვები ყურძნის კრეფის დღიურ დავალებას ორმაგად ასრულებენ. ათი დღეც და რთველს დავამთავრებთ.

* * *

ღვინის ქარხანა, რომელიც აშენებულია 1884-1887 წლებში, თანამედროვე მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა. ვერ იყო და ყურძნის გადამუშავება ჭიანურდებოდა. მეორეც—ღვინის დაძველება არ ხერხდებოდა, წინანდელში მიჰქონდათ. ამიტომ იყო, რომ ნაფარეულელებმა ახალი ქარხნის მშენებლობა დაიწყეს. იგი ორას ათას დეკალიტრ ღვინოს დიტევს. წელს ყურძნის გადასამუშავებელი განყოფილება ამუშავდა. მომავალ წელს კი მთლიანად დამთავრდება.

ძველი და ახალი ღვინის ქარხნებისაკენ მეურნეობის, კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების ყურძნით დატვირთული ავტომანქანები განუწყვეტელ ნაკადად მიედინება. 4.400 ტონა ყურძენი უნდა დაწურონ. ეს იოლი როდია. მაგრამ განა მარტო ამას დასჭირდებიან? ექვსასი ტონით მეტის გადამუშავება იკისრეს.

დღეში 200-220 ტონა ყურძენს წურავენ. უფროსი მეღვინე ჭიმშერ ჩოხელი ახალგაზრდაა, მაგრამ ქართული ღვინის დაყენების ნამდვილი ოსტატია. მან ითავა, რომ მშრომელთა სუფრა დაამშვენოს „ნაფარეულის თეთრი № 27“ და „ნაფარეულის წითელი № 28“ ღვინოებით.

მდინარე ლოპოტის მარჯვენა მხარეს რომ ზვრებია, სანეორის კოლმეურნეობა „პირველი მაისის“ საკუთრებაა. ვაზებზე ქარვისებური მტევნების სიმრავლეა. უამინდობამ ხელი ვერ შეუშალა. ეკონომისტი [illegible] დაბეჭ. [illegible] ... ეკონომისტ [illegible] ... ეს [illegible] ... ეს [illegible] ... ეს

ლექსიკონი, ძიებანი, სახელმძღვანელო ძიებანი

სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავი

საქართველოს მამა

სულხან-საბა ორბელის-ძე
სიბრძნით აღსდა ორბების ზე!

თელ საქართველოს მამად მიაჩნიათ, წერს 1712 წელს ფრანგი მისიონერი რიშარი, საფრანგეთის მინისტრს სულხან-საბას შესახებ.

როგორ უნდა ჰყვარებოდა ხალხს, რა პატივით, რა შარავანდედით უნდა ყოფილიყო შემოსილი ადამიანი, რაოდენი უანგარო შრომა უნდა გაეწია, რამდენი სიკეთე უნდა დათესა ხალხში, რომ ხალხს მისთვის „მამა" ეწოდებინა მის სიცოცხლეშივე. და ეს მაშინ, როცა საბა მხოლოდ 54 წელს ითვლიდა.

სწორედ ეს — დიადი შრომა ხალხისათვის, თავდადება და „მამობა" განსაზღვრავს სულხან-საბას მთელ მოღვაწეობას.

ერის აღზრდისათვის მან ზნეობის სახელმძღვანელო „სიბრძნე სიცრუისა" დაწერა; ერის გაფანტული სიტყვები თავის კალთაში აკრიბა და სამშობლოსათვის დახმარების საშოვნელად სიბერით დღემოკლებულმა თითქმის შიშველი ფეხებით მოლახა მაშინდელი აზია, ევროპა და რუსეთი, რათა რაიმე სალაზნო მიეცა საქართველოსთვის. მონასტრის ბნელი მღვიმედანაც კი იგი დაცემულ ერს მკაცრი ქადაგებით მოუწოდებდა მაღალი ზნეობისა და პატრიოტული გრძნობისაკენ.

სულხან-საბა შავბნელ დროში ცხოვრობდა. — აოხრების, ამოწყვეტის, ტყვეობის, ხანძართა დროს, განხეთქილებათა, შეთქმულებათა, ბარბაროსების განუწყვეტელ შემოსევათა დროს; უზურპატორთა, ტირანთა, გამცემთა, ფეოდალთა მძარცველური ინსტინქტების თარეშის დროს; ხალხს ტანჯვის და მთავართა დემორალიზაციის დროს. თვით საბა არაერთგზის გამხდარა მსხვერპლი სპარსეთის აგენტურისა, ქართველი მეფეებისა, რენეგატებისა, ბნელი სამღვდელოებისა, რომლებმაც წიგნები დაუწვეს, აუტოდაფე გაუმართეს და განკეთეს, მაგრამ საბას არასოდეს უკან არ დაუხევია ხალხის სამსახურში. როგორც კეთილშობილი მამულიშვილი, იგი დაეცხრილი „მუშაკი" იყო ქართველი ერისა. მან განუმეორებელი გზა განვლო მოქალქისა და შემოქმედისა. სულხან-საბა ორბელიანი აღმზრდელი მეგობარია ქართველი ხალხის ყველა თაობისა და დღესაც იგი ქართული სიტყვის „მამად" იწოდება. სულხან-საბა სულიერი ბელადი იყო ერისა და ხელმძღვანელი, დიდი მოღვაწე, ჰუმანისტი, მორალისტი, პირველი სახელმწიფოებრივი კაცი თავისი ეპოქისა...

• • •

სამხრეთ საქართველოს მივიწყებულმა სოფელმა ტანძიამ სამუდამოდ დაკარგა ქართული მწერლობა. აქ 1658 წ. 4 ნოემბერს დაიბადა სულხან-საბა ორბელიანი. ორბელიანთა გაუყრელი ოჯახი არათუ დიდი და მდიდარი იყო და უძლიერესი მფლობელი, არამედ იგი დიდ კულტურულ კერას და დიდ ხელმოსაკიდ შემოქმედებითს ძალასაც წარმოადგენდა. იყო რა განთქმული სამხედრო და კულტურული მოღვაწეებით, სულხანს მამაც ვახტანგ, იგივე ორბელი, ბანთქმული მწიგნობარი და მეცენატი ყოფილა. ოფიციალურად იგი იყო ქართლის მდივანბეგი, ანუ, თვით სულხანის სიტყვით, „საქართველოს ბრეთ-მთავარი და მოსამართლეთუხუცესი". ძველი ტრადიციების მიხედვით, სულხანსაც მემკვიდრეობით ეს პოსტი უნდა მიეღო მამის შემდეგ, მაგრამ „სიბრძნე-სიცრუის" წიგნში გამოთქმული მწარე ირონიით შეზავებული „მელას მდივანბეგობის" ზღაპრიდან ვიცით, თუ რა შორს იდგა სულხანი ამ კარიერისაგან. ხალხის სიყვარულმა, რომლისთვისაც მაშინ მართლმსაჯულება არ არსებობდა, აიძულა სულხანი ეს შხამიანი არაკი მიეძღვნა სამართლის ინსტიტუტისათვის, რომელსაც ტრადიციულად მისივე ოჯახი ედგა სათავეში.

ქართლის მდივანბეგის შვილს შესაფერი აღზრდა მიუღია. მისივე ერთი მინაწერი გვიცხადებს, რომ ყრმა სულხანს ზრდიდნენ „სათუოად და ნებიერად, ვითაც შვენის თავადთა ძეთა"-ო. არავის ერის-თავის ზაალის შვილიშვილის სულხანის მთავარი აღმზრდელები, მწერთნელები დაბალ აზნაურთა ოჯახებიდან ყოფილან — მცხეთელი ზედგინიძე ბერუკა და იაშვილი გიორგი.

ეტყობა ნიჭიერ ყრმას კარგად მიუღია მათი წვრთნა. „ვიყავ სწავლისა ფრიად მოყვარე"-ო, გვიამბობს თვით სულხანი.

სწორედ სიჭაბუკის წლებში იყო, რომ სულხანი დიდ მუშაობას აწარმოებს ლექსიკონზე: „მე სულხან ორბელიანსა, ჭაბუკობისა ჟამსა და სიყრმესა ფრიადი შრომაი დამიძს ამა წიგნსა ზედა"-ო, გადმოგვცემს თვითონ.

საყურადღებოა, რომ სასახლის ფავორიტი სულხანი ხალხის ცხოვრებასთან ახლო მდგარა. ხალხთან სიახლოვემ მისცა ის სიტყვები, სახელები, რომლებიც მის კაპიტალურ 30.000-სიტყვიან ლექსიკონში შევიდა. ხალხში გიგო და დაისწავლა ხალხის სიბრძნე,— ის ჯადოსნური ქართული იგავ-არაკები, რომლებიც საფუძვლად დაედო „სიბრძნე სიცრუის" წიგნს, ის დეტალები გლეხური ცხოვრებისა, რომლებიც ამკევნებს სულხანის მიერ ხალხის კარგად ცნობას და, ბოლოს, ხალხმა დასაჩუქრა მოიგავარაკე მწერალი სულხან ორბელიანი ირონიით, ბუნებისა და ადამიანის სიყვარულით.

სულხანი ადრე ჩაბმულა სახელმწიფო საქმეებში. „ერისაგანი იყო და წარჩინებული და სოფლისა საქმეთაგან უცალო იყო"-ო, ამბობს თავის თავზე სულხან ორბელიანი, რომელიც დიდ როლს თამაშობდა გიორგი XI-ის, ლევანის, ქაიხოსროს კარზე. იოანე ბაგრატიონის სიტყვით, „დიდად ემსახურა მეფეთა". „ბიძა და მამა ჩვენზედ დიდად ნამსახური და მრავალ გარჯილი იყო"-ო, ამბობს სულხანზე მეფე ქაიხოსრო. სულხანის „მრავალფერადი ნამსახურობა" შესაფერისად დაუფასებია გიორგი XI-ეს და საჯილდოოდ მამულები უბოძებია მისთვის. შემდეგ სულხანი ერთგულად ემსახურა ვახტანგ მეექვსეს, რომელსაც თავიც შესწორა.

ისიც აღსანიშნავია, რომ სულხან-საბამ აღზარდა დიდი განმანათლებელი, პოეტი მეფე ვახტანგ.

სულხან ორბელიანმა დიდი ბრძოლები გამოიარა სპარსთა მიერ მეფედ დადგენებულ ერეკლე I-ნაზარალიხანის წინააღმდეგ „ჩვენის ერთგულებისათვინ და ნამსახურეობისათვინ ერეკლე მეფეს დაუნაშავებლად ასრე წაეხდინე, არც ამ ქვეყანას დაეყენებინე და ნასყიდიც (მამული) წაერთმია", „ჩვენის ნამსახურობის მეტი იმაზე დანაშაული არ გქონდა რა", ასე ამართლებს ერთ სიგელში ლევან მეფე სულხან-საბას, მაგრამ სულხანი პრინციპული მებრძოლი იყო გათთრებული ნაზარალიხანის წინააღმდეგ.

1698 წელს სულხან ორბელიანი გადაყვა საუკუნის გრძნობას, ბერად შედგა „საბას" სახელით, საცხოვრებლად აირჩია ცხელი, უწყალო, სასტიკი დავით გარეჯის უდაბნო, მაგრამ არც აქ გაქცევია სამშობლოს სამსახური. იგი აქაც შრომობდა როგორც ლექსიკონზე, ისე იმ ქადაგებებზე („სწავლანი"), რომლებითაც ამხილებდა ფეოდალურ საზოგადოებას.

საბას მონასტრიდანვე დიდი მონაწილეობა უნდა მიეღო ქართული ეროვნული სტამბის დაარსებაში 1707-1708 წლებში. 1711 წელს საბამ ქაიხოსრო მეფის დავალებით რაღაც დიდი დავალება შეასრულა. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ის კეთილი მზრუნველი იყო ვახტანგის მეფობისა. როგორც ქართლის სამეფოს რეგენტი, საბა იყო ვახტანგის პოლიტიკური და კულტურული რეფორმების და სამეურნეო გადახალისებათა შთამაგონებელი. ვახტანგის ყოველი წამოწყება საბას ნაყოფიერ გავლენას განიცდიდა. სამწუხაროდ, აგრესორთა და გამცემ ფეოდალთა ქიშპობის წყალობით საბაც და ვახტანგს სულ რაღაც ათ წელიწადს მოუხდათ ეწარმოებინათ საგანმანათლებლო და განმახალებელი მუშაობა. 1712 წლის გაზაფხულზე ვახტანგი სპარსეთში გაიწვიეს, სადაც 1719 წლამდე დაჰყო. ერთგული საბა თან გაჰყვა აღზრდილს. „საბა ფრიად დაშვრა მეფეთა მსახურებისათვის ისპაანს, ყეენთან წავლით"-ო, გადმოგვცემს „კალმასობა". მაგრამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბას გამგზავრება ევროპაში — საფრანგეთის მთავრობისა და რომის პაპისაგან ვახტანგისა და საქართველოსათვის დახმარების საშოვნელად. საბამ თავი გასწირა, არ მოერიდა გზის დიდ სიძნელეებს — თბილისიდან პარიზსა და რომში — და არც შეუშინდა მოსალოდნელ ხიფათსა და განსაცდელს. 1713-1716 წლებში საბამ იმოგზაურა ევროპაში, ვერსალში (პარიზი) წარუდგა ლუი XIV-ს, ხოლო ვატიკანში — რომის პაპს. ორთავეს ცბიერად შემწეობა აღუთქვეს, მაგრამ სამ წელიწადს ევროპაში ყოფნის მერე საბა ხელცარიელი დაბრუნდა. მის ელჩობას არავითარი პრაქტიკული მნიშვნელობა არა ჰქონია. მხოლოდ „მოგზაურობის" ავტორის ერუდიცია გამდიდრდა ევროპელთა შთაბეჭდილებებით.

საბას სიტყვითვე რომ ვთქვათ, „ენით არ თქმის", გზაში იმდენი გაჭირვება და საშინელება გამოიარა საქართველოს მოხუცმა ელჩმა.

ჯერ კიდევ ძმები შორიდანვე ატყობინებდნენ, ქართლში ნუ ჩამოხვალო, ტახტზე მოღალატე იასე იჯდა, „ქიეანას განგებდნენ საბას მოშურნენი და ქიშპნი, რომელნიც ვახტანგზე გარჯას ვერ აპატიებდნენ. მაინც ქართველი სამღვდელოება ყველაზე მეტი სიმრისხანით ეკვეთა საბას: „ქართველნი ეპისკოპოსნი და სამღვდელნი ჩემს წასვლისათვის გამიმტერდნენ და ასე შეკრეს ყოველი ჩემი ნათესავი და მოყვარე და მეფე და დარბაისელნი, ვერავინ შემომეწია ვალის მოცემასაო".

აქედან ჩანს, რომ საბას მიმართ გამოცხადებული ბოიკოტი („შეკვრა") მოსდებია დიდებულთა დარბაზებს და თვით სასახლეს, იმდენად, რომ ვეღარც მეფეს შესძლებია საბასთვის დახმარება. ეს, შეიძლება თქვას, სრულიად ქართული ბოიკოტი უნდა ყოფილიყო, ეროვნული სჯულის დასაცავად, რასაც ეპისკოპოსნი და სამღვდელნი ხელმძღვანელობდნენ და ამიტომაც ბოიკოტის მრისხანებაც მეტად ძლიერი უნდა ყოფილიყო. საბამ ამ აუტოდაფესაც გაუძლო. ამ საშინელ დღეებში, ვახტანგის თხოვნით, საბა „ქილილა და დამანას" პოეტურ ნაწილზე მუშაობდა დაუცხრომლად. აღმოსავლეთიდან სამუდამოდ პირმობრუნებულმა ვახტანგმა ახლა რუსეთისკენ იბრუნა პირი. მალე ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ერთმანეთს შეეჯახნენ რუსეთის, ოსმალეთისა და სპარსეთის ინტერესები, საქართველო ჩათრეულ იქნა ახალ ორომტრიალში.

ვახტანგი საბას თანხლებითა და ორიათასიანი ამალით გაეშურა რუსეთს, საიდანაც აღარც ერთი დაბრუნებულა. საბას შეეძლო თავს თავზე მიეღო მისივე სხვაგან ნათქვამი — „ჩემოდენი ჭირი და ლხინი, უცხო თემი, საკვირველნი საქმენი არავის უნახავენ"-ო. მაგრამ ახლა უფრო დიდი გაჭირვების გზა ელდა წინ, რუსეთისაკენ.

მას უძნელესი გასასვლელი გზა ჰქონდა კავკასიის მთებსა და ღრანტეებში, რომლითაც უნდა გაევლო ლტოლვილ ქართველობასთან ერთად. „ორბი, გინდა არწივი, მასცა ვერცა ეძლო მუნით ამოსვლა"-ო, გვიამბობს მისი თანამოგზაური.

საბა და მისი ძმა ზოსიმე მოსკოვს ჩასულან ნოემბრის პირველ რიცხვებში, დაბინავებულან დარეჯან ბატონიშვილთან, მოსკოვის განაპირას, „ესეხსვიატსკოეში", არჩილის სასახლეში, სადაც საბა ავად გამხდარა დეკემბრის მეორე ნახევარში და 1725 წ. 26 იანვარს გარდაცვლილა.

დარეჯან ბატონიშვილს საბა დიდი ხარჯით და პატივით იქვე „ესეხსვიატსკოეს" ქართულ ტაძარში დაუმარხვინებია. ეს ეკლესია დღესაც არსებობს მეტრო „სოკოლთან", ხოლო ესეხსვიატსკოე უკვე მოსკოვის უბანია. გასული საუკუნის 90-იან წლებში ტაძარში ძველი საფლავის ქვები აპყარეს და პარკეტი დააგეს, მაშინ დაიკარგა საბას საფლავიც.

რა მდგომარეობაში დატოვა საქართველო მოხუცმა მამულიშვილმა?

— „ოთხი წელიწადი არც ხვნა იყო, არც თესვა, არც ცეცხლი ანთებულა, არც კალო გალეწილა და არც მამალს უყივლია,"-ო მწარედ ჩივის თანამედროვე მეუნრნე ქართველი.

„დიაღ ავი დრო და გაჭირვებული საქმე იყო" საბას დროს, მაგრამ საქართველოს გოლგოთაზე მდგომ საბას ღრმად სწამდა თავისი ერის უკვდავება. ამიტომ მან თავის თავზე მიიღო ტკივილები და წამება მშობელი ერისა.

• • •

იგავ-არაკთა კრებული „სიბრძნე სიცრუისა", დაწერილი სულხანის სიჭაბუკეში, ანუ 1680-იან წლებში, მისი მთავარი მხატვრული ნაწარმოებია.

„სიბრძნე სიცრუისა" უპირველესად ზნეობის სავალდებულო სახელმძღვანელო იყო ძველ ქართულ ოჯახში. თვით XIX საუკუნის ნახევრამდე შინაური განათლების მიმღებთათვის იგი იყო „სასწავლო" „სიბრძნესა შინა აღზრდისათვის", „ვეფხისტყაოსანთან" და „დავითიან-გურამიანთან" ერთად. საბას ენციკლოპედიური წიგნის ცოდნა აუცილებლად ითვლებოდა. ამ წიგნზე ილესებოდა ქართველი ყრმის გონება და ამ წიგნით ისწავლებოდა წმინდა, შეურყვნელი ქართულიც გონებამახვილობასთან ერთად. მით იკვეთავდნენ კარგ ქართულს. იგი იყო სასარგებლოდ გამოსადეგი „სიბრძნეშიაც და სიცრუეშიც", ანუ როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა: „ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვწრთვნის, ავსა და კარგს გვანიშნებს"-ო. ამიტომაც არის, რომ „სიბრძნე სიცრუისა" ქალთათვის მზითევში გატანებულ სიებშიც გვხვდება", „ყრმათათვის ამოდ საკითხავი და მრავალგვარ სასარგებლო და გამოსადეგი წიგნია"-ო. ამიტომ იყო, რომ იგი დაბეჭდა 1859 წელს, როცა მრავალ სასახელო ქართულ წიგნს ჯერ სტამბა არ ენახა.

„სიბრძნე სიცრუისა" თავისი სადა, მარტივი სიტყვით ახალ ტონს იძლევა მწერლობაში. იმ დროისათვის, ეს ახალი ბელეტრისტიკაა. იგი ბრწყინვალე ნაწარმოებია, ცოცხალი სიტყვის ფუძეზე შექმნილი, ხალხური სიტყვის საქცევებით, ლექსიკით, ხალხური ფორმებით გამდიდრებული. ჭეშმარიტად ამ წიგნის შემამკობელი სიმდიდრეა ნიადაგური, ფესვიანი, ლაპიდარული, ნათელი სიტყვა უიფრესად ეკონომიური, დეპეშის მკვეთელობით. მისი სინათლე ხალხიდან არის მოშუქებული. მაგრამ ამავე დროს „სიბრძნე სიცრუისა" საზრდოობს ჩვენი კლასიკური მწერლობის სინამდვილით, მისი — „მშვენიერი უბრალოებით", სიმახვილით, სიცოცხლიანობით.

„სიბრძნე სიცრუისა" ბასრი ნესტარია, ფეოდალური საზოგადოების იავდაყოფობის გამკეთავი. მაგრამ ამავე დროს ეს ნაწარმოები სავსეა სიცოცხლით, მხიარულობით, ჯანსაღი სიცილით. ამ წიგნის ეპიგრაფად შეგვიძლია სულხან-საბას სიტყვებიც ვიხმაროთ: „ეს სოფელი მოკლეა, ყოველნი კაცნი ავს შვრებიან, კარგს არ იქმონენ, ყოველ კაცს ვუქადაგე, ვურჩიე, ვერა დავაჯერებინე რა და აწ სიცილს ძალი მივეც"-ო.

რაღა უნდა ითქვას „ქილილა და დამანას" პოეტური ნაწილის გალექსვის შესახებ? ამ შემთხვევაში გვახსენდება მამუკა ბარათაშვილის ნათქვამი: „თუმცა რუსთველის ნათქვამი არ არის, მაგრამ ნაკლებადაც სათქმელი არ არის"-ო. ამ მაღალ შეფასებაში სიმართლეს ნაწილობრივ თავისი წილი აქვს.

საბა ქართული ლექსის რეფორმატორია. მან „ქილილა და დამანა"-ში მრავალი ახალი და სხვადასხვა მეტრი შემოიღო. „შაირნი მისნი საქებელობენ, შაირთა ვუქებო", ამბობს საბას ერთი დაუნდობელი მტერიც.

თვით ვახტანგ მეექვსე ქართულ პოეტურ პანთეონში საბას უპირატეს ადგილს ანიჭებს, როცა პოეტების ჩამოთვლისას დასძენს: „საბა თავადი მჯდომელი"-ო. და „კალმასობის" ავტორსაც ხომ ასე აქვს შეფასებული საბას პოეტური რეპუტაცია. „უცხო პიიტიკოსი ქებული ძველთა მოშაირეთა შესადარი"-ო. საბას პოეტური ძალა, მისი სიდიადე, განსაკუთრებით გამორჩდა „ქილილა და დამანას" პოეტური ნაწილის თარგმანში. უნდა ითქვას, რომ მისი საანდაზო ლექსებიდან ბევრი რამ უკვე გადასულია ხალხში. მაგალითად,

„კაცი სახელის მძებნელი,
უკვდავად შემრაცხია".

ან: „ეგრე მტრისა არ მეშინის,
რადგან ცხადად მაწყინარობს;
მოყვარეს მტერსა ვუფრთხი,
მემოყვრება, მიცინარობს".

ეს და ამგვარი ლექსები იმდენად არის ხალხში გადასული, რომ ზოგჯერ ხალხური აფორიზმები ჰგონიათ.

ყველასთვის ცნობილია საბას ლექსიკოგრაფიული მუშაობა. „თუ ვისმე გწადის ეს წიგნი, ეგრე გმატს, ვითა რუსთველსა"-ო: საბას ენციკლოპედიურ ღირსებაზე არაერთი აზრია გამოთქმული.

„უბადლო ლექსიკოგრაფი" — ასე უწოდებს ხასახლეს, იმდენად, რომ ვეღარც მეფეს შესძლებია საბასთვის დახმარება. ეს, შეიძლება თქვას, სრულიად ქართული ბოიკოტი უნდა ყოფილიყო, ეროვნული სჯულის დასაცავად, რასაც ეპისკოპოსნი და სამღვდელნი ხელმძღვანელობდნენ და ამიტომაც ბოიკოტის მრისხანებაც მეტად ძლიერი უნდა ყოფილიყო. საბამ ამ აუტოდაფესაც გაუძლო. ამ საშინელ დღეებში, ვახტანგის თხოვნით, საბა „ქილილა და დამანას" პოეტურ ნაწილზე მუშაობდა დაუცხრომლად. აღმოსავლეთიდან სამუდამოდ პირმობრუნებულმა ვახტანგმა ახლა რუსეთისკენ იბრუნა პირი. მალე ამიერკავკასიის ტერიტორიაზე ერთმანეთს შეეჯახნენ რუსეთის, ოსმალეთისა და სპარსეთის ინტერესები, საქართველო ჩათრეულ იქნა ახალ ორომტრიალში.

ვახტანგი საბას თანხლებითა და ორიათასიანი ამალით გაეშურა რუსეთს, საიდანაც აღარც ერთი დაბრუნებულა. საბას შეეძლო თავს თავზე მიეღო მისივე სხვაგან ნათქვამი — „ჩემოდენი ჭირი და ლხინი, უცხო თემი, საკვირველნი საქმენი არავის უნახავენ"-ო. მაგრამ ახლა უფრო დიდი გაჭირვების გზა ელდა წინ, რუსეთისაკენ.

მას უძნელესი გასასვლელი გზა ჰქონდა კავკასიის მთებსა და ღრანტეებში, რომლითაც უნდა გაევლო ლტოლვილ ქართველობასთან ერთად. „ორბი, გინდა არწივი, მასცა ვერცა ეძლო მუნით ამოსვლა"-ო, გვიამბობს მისი თანამოგზაური.

საბა და მისი ძმა ზოსიმე მოსკოვს ჩასულან ნოემბრის პირველ რიცხვებში, დაბინავებულან დარეჯან ბატონიშვილთან, მოსკოვის განაპირას, „ესეხსვიატსკოეში", არჩილის სასახლეში, სადაც საბა ავად გამხდარა დეკემბრის მეორე ნახევარში და 1725 წ. 26 იანვარს გარდაცვლილა.

დარეჯან ბატონიშვილს საბა დიდი ხარჯით და პატივით იქვე „ესეხსვიატსკოეს" ქართულ ტაძარში დაუმარხვინებია. ეს ეკლესია დღესაც არსებობს მეტრო „სოკოლთან", ხოლო ესეხსვიატსკოე უკვე მოსკოვის უბანია. გასული საუკუნის 90-იან წლებში ტაძარში ძველი საფლავის ქვები აპყარეს და პარკეტი დააგეს, მაშინ დაიკარგა საბას საფლავიც.

რა მდგომარეობაში დატოვა საქართველო მოხუცმა მამულიშვილმა?

— „ოთხი წელიწადი არც ხვნა იყო, არც თესვა, არც ცეცხლი ანთებულა, არც კალო გალეწილა და არც მამალს უყივლია,"-ო მწარედ ჩივის თანამედროვე მეუნრნე ქართველი.

„დიაღ ავი დრო და გაჭირვებული საქმე იყო" საბას დროს, მაგრამ საქართველოს გოლგოთაზე მდგომ საბას ღრმად სწამდა თავისი ერის უკვდავება. ამიტომ მან თავის თავზე მიიღო ტკივილები და წამება მშობელი ერისა.

• • •

იგავ-არაკთა კრებული „სიბრძნე სიცრუისა", დაწერილი სულხანის სიჭაბუკეში, ანუ 1680-იან წლებში, მისი მთავარი მხატვრული ნაწარმოებია.

„სიბრძნე სიცრუისა" უპირველესად ზნეობის სავალდებულო სახელმძღვანელო იყო ძველ ქართულ ოჯახში. თვით XIX საუკუნის ნახევრამდე შინაური განათლების მიმღებთათვის იგი იყო „სასწავლო" „სიბრძნესა შინა აღზრდისათვის", „ვეფხისტყაოსანთან" და „დავითიან-გურამიანთან" ერთად. საბას ენციკლოპედიური წიგნის ცოდნა აუცილებლად ითვლებოდა. ამ წიგნზე ილესებოდა ქართველი ყრმის გონება და ამ წიგნით ისწავლებოდა წმინდა, შეურყვნელი ქართულიც გონებამახვილობასთან ერთად. მით იკვეთავდნენ კარგ ქართულს. იგი იყო სასარგებლოდ გამოსადეგი „სიბრძნეშიაც და სიცრუეშიც", ანუ როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა: „ჭკუას გვასწავლის, გვარიგებს, ზნეს გვწრთვნის, ავსა და კარგს გვანიშნებს"-ო. ამიტომაც არის, რომ „სიბრძნე სიცრუისა" ქალთათვის მზითევში გატანებულ სიებშიც გვხვდება", „ყრმათათვის ამოდ საკითხავი და მრავალგვარ სასარგებლო და გამოსადეგი წიგნია"-ო. ამიტომ იყო, რომ იგი დაბეჭდა 1859 წელს, როცა მრავალ სასახელო ქართულ წიგნს ჯერ სტამბა არ ენახა.

„სიბრძნე სიცრუისა" თავისი სადა, მარტივი სიტყვით ახალ ტონს იძლევა მწერლობაში. იმ დროისათვის, ეს ახალი ბელეტრისტიკაა. იგი ბრწყინვალე ნაწარმოებია, ცოცხალი სიტყვის ფუძეზე შექმნილი, ხალხური სიტყვის საქცევებით, ლექსიკით, ხალხური ფორმებით გამდიდრებული. ჭეშმარიტად ამ წიგნის შემამკობელი სიმდიდრეა ნიადაგური, ფესვიანი, ლაპიდარული, ნათელი სიტყვა უიფრესად ეკონომიური, დეპეშის მკვეთელობით. მისი სინათლე ხალხიდან არის მოშუქებული. მაგრამ ამავე დროს „სიბრძნე სიცრუისა" საზრდოობს ჩვენი კლასიკური მწერლობის სინამდვილით, მისი — „მშვენიერი უბრალოებით", სიმახვილით, სიცოცხლიანობით.

სულხან-საბა ორბელიანის ხსოვნის უკვდავსაყოფად

გუშინ ელბაქიძის დალმართზე, პარკ „სამაიაში" ხაზეიმოდ გაიხსნა დიდი ქართველი მწერლისა და სახელმწიფო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის ძეგლი.

ხალხმრავალი მიტინგი მოკლე შესავალი სიტყვით გახსნა მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილემ ბ. ლომიძემ. სულხან-საბა ორბელიანის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ილაპარაკა პოეტმა-აკადემიკოსმა გ. ლეონიძემ.

მიტინგზე ამაღელვებელი სიტყვები წარმოთქვეს თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორმა ს. ულენტმა, ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის მუშამ ა. გელაშვილმა, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა თ. პუზიკოვამ, 55-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ვ. მარდალეიშვილმა, ძეგლს საბურველი შემოხსნეს. ხალხის წინაშე წარმოსდგა დიდი ქართველის სულხან-საბა ორბელიანის ბრძნული და სათნო წმინდა ძეგლი, რომლის ავტორია მოქანდაკე ტ. სიხარულიძე, ორი მეტრი და 15 სანტიმეტრი სიმაღლისაა. იგი დგას ერთმეტრიან შავი გრანიტის კვარცხლბეკზე, რომელიც აგებულია ახალგაზრდა არქიტექტორის ნ. ლასარეიშვილის პროექტით.

• • •

სურათზე: სულხან-საბა ორბელიანის ძეგლი ელბაქიძის დაღ ძართზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

საგას სამშობლოში

დიდი სახალხო ზეიმია ბოლნისსა და ტანძიაში. მთელი საქართველოს გულისყური დღეს ამ ორი ისტორიული ადგილისაკენ არის მიპყრობილი. ტანძიაში დაიბადა „ერის მამად წოდებული" სულხან-საბა ორბელიანი.

სიამაყით აღნიშნავენ ტანძიელები მათი უკვდავი თანასოფლელის იუბილეს. დღეს ტანძიაში ხაზეიმო ვითარებაში დაიდგმება ბუმბერაზი ქართველი მოღვაწის, მხატვრული სიტყვის გამოჩენილი ოსტატის ბიუსტი.

ბოლნისში შედგება ხალხმრავალი მიტინგი. რაიონის მშრომელებთან ერთად აქ თავს მოიყრიან მოძმე რესპუბლიკებიდან, თბილისიდან და საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრები.



სამშობლოს სამსახურში დაფერფლილი

სულხან-საბა ორბელიანის მოხუც სახეზე ქართველი კაცი საქართველოს საუკუნოვან წარსულს კითხულობს. ძველი საქართველო ჩვენს წარმოდგენაში სულხან-საბას ჰგავს, ანუ სულხან-საბას ბედი ჰგავს ძველ საქართველოს. ჩვენი ქვეყნის მთელი ისტორია კონსტანტინეპოლისა და ალექსანდრიის დაცემის თითქმის მეორე დღიდან, ვიდრე ქართლ-კახეთის რუსეთთან შეერთების წინა დღემდე — ეს არის სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფია ქართველი კაცის ცნობიერებაში.

სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფია იმდროინდელი საქართველოს ისტორიაა, როცა არჩევანში საბოლოოდ გაირკვა ქვეყნის ორიენტაცია ერთმორწმუნე ჩრდილოეთისაკენ. და ისიც სიმბოლურია, რომ სულხან-საბამ დიდი პილიგრიმობის შემდეგ, დიდ ძიებათა შემდეგ თავისი მოხუცებული სხეული დატოვა რუსეთის მიწაში.

მთელ საქართველოზე, თუ გნებავთ, ნუღარ ვიტყვით, —ვისაც თუნდაც სამხრეთი საქართველო კარგად შემოუვლია, და შემოდგომის ჩამტკბარ მზიან დღეში თვალი მოუტარებია შიდა ქართლის თუ მესხეთ-ჯავახეთის მთების ქიმებზე ჩვენი ძველი დანგრეული ბუდეებისათვის, მისთვის სადღაც გულში უსათუოდ გაუკრავს ფრთა შეუკავებელ სიხარულს, იმ შეგნებით გამოწვეულ სიხაოულს, რომ ეს მხარე თავის დროზე თუმცა ბეწვზე, მაგრამ მაინც სახელდებიერად გადაურჩა სახანოდ თუ ვილაიეთად გადაქცევის შავბედითობას.

და ეს იყო ღვაწლი ჩვენი დიდი, ნამდვილად პროგრესულად მოაზროვნე და მოღვაწე ქართველებისა, მათ შორის პირველ რიგში სულხან-საბა ორბელიანისა, ხოლო შემდეგ მეფე ირაკლის სახოლოო ხელმწიფური სიტყვისა, რომელსაც ასი წლის შემდეგ ასეთი ღრმა და დიდი შეფასება მისცა მეცხრამეტე საუკუნის დიდმა ქართველმა ილია ჭავჭავაძემ.

მოხდა ისე, რომ ჩვენი მეზობელი მუსლიმანური სახელმწიფოები, რომელნიც ყოველი ღონით ცდილობდნენ ჩვენს საბოლოო ფიზიკურსა და სულიერ მოთხრას, ჩვენს საბოლოო ასიმილაციას, ისტორიის ერთ დაბალ საფეხურზე გაიყინენ, ხოლო ჩვენთვის უკვე წალმა დატრიალებულმა ჩარხმა საქართველო საბოლოო ანგარიშში დიდ სოციალისტურ ბანაკში შეიყვანა სახეოთა კავშირის მოძმე ხალხების, დიდი ჩინეთის, დემოკრატიული ქვეყნების გვერდით და ახლა იგი თანამედროვე კულტურის უმაღლეს დონეზე.

დიდია სულხან-საბა ორბელიანის დამსახურება ჩვენი ქვეყნის წინაშე და მრავალმხრივია მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა. მრავალი თაობა აღიზარდა და კვლავაც აღიზრდება მისი იგავ-ეების ნამდვილ ხალხურ, ნამდვილ კლასიკურ სიბრძნეზე, მის შესანიშნავ ლექსსა თუ პროზაზე.

ვინ იტყვის, რომ სულხან-საბას სახელი ყოველთვის დიდი მოწიწებითა და სიყვარულით არ იხსენიებოდა და არ იხსენიება ჩვენი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. მაგრამ, ვგონებ, ის კი შეიძლება ითქვას, რომ ყველას სათანადო სინათლით გვაქვს წარმოდგენილი ის უდიდესი ღვაწლი, რომელიც ამ დიდმა ქართველმა დასდო არა მარტო ჩვენი მშობლიური კულტურის განვითარების, არამედ მთელი ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების, ჩვენი არსებობის, ჩვენი სახელმწიფოებრივი ყოფნა-არყოფნის პირველეულ საქმეს.

დღეს ჩვენი სამშობლო — საბჭოთა საქართველო ზეიმით აღნიშნავს დიდი ქართველი მწერლის, მგზნებისა და მოაზროვნის, მეცნიერის, აღმზრდელისა და მორალისტის, დიდი სახელმწიფო მოღვაწის სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავს.

ირაკლი აბაშიძე.

ხალხის მოამაგე

ეტად საინტერესოა სულხან-საბა ორბელიანის ბიოგრაფიის ორი მომენტი. როგორც ცნობილია, ეს ღრმად განათლებული, სიცოცხლის მოტრფიალე და მისი მებაღიარსტერე, ადამიანი, თავისი ცხოვრების მეორმოცე წელს მოულოდნელად ბერად მიდის მონასტერში, რამდენიმე წლის შემდეგ კი მამაპაპეული მართლმადიდებლობიდან კათოლიკობაში გადადის. რა მოხდა მის რელიგიურ ცხოვრებაში ისეთი, რამაც ასეთი ნაბიჯი გადაადგმევინა მას?

იმ დროს ჩვენი ქვეყანა დიდ კრიზისს განიცდიდა. ირანისა და ოსმალეთის მუხრუჭებში მოქცეული, ის ჰკარგავს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას. ისეთი ადამიანი, როგორიც იყო სულხან ორბელიანი, ამ გარემოებას ვერ შეურიგდებოდა. ის თავგამოდებით იბრძვის მისი გამზრდელისა და შამიდაშვილის გიორგი XI მხარეზე, რომელსაც ტახტს ეცილებოდა ირანის აგენტი, გამაჰმადიანებული ირაკლი I ნაზარალიხანი. ამ ბრძოლას შეალია სულხანმა თავისი ენერგია, მისთვის გადაიტანა დიდი შეეიწროება, დამცირება და დევნა. 1696 წელს გიორგი, საბოლოოდ დამარცხებული, შაჰმა გაიწვია ირანში, სადაც მას თავის საკუთარ საქმეს აკეთებინებდა.

ამრიგად, სულხანის პოლიტიკური იდეალი დაიმს

მახვილიდან კავი გამოვჭედოთ!

ცნობილი საბჭოთა მოქანდაკის ე. ვუჩეტიჩის ნამუშევარი „გამოვჭედოთ მახვილისაგან კავი“ — სიმბოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და მსოფლიოს ყველა ქვეყნის მისწრაფებისა საყოველთაო განიარაღებისადმი, რომელიც საბჭოთა კავშირმა საჩუქრად გადასცა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას.

სტუმრად საქართველოში

სოხუმი, 24 ოქტომბერი. (საქდესი). აფხაზეთში რამდენიმე დღეს იმყოფებოდა იტალიის საგარეო ვაჭრობის მინისტრი დენ ბო. იგი გაეცნო სოხუმის ღირსშესანიშნაობებს, დაათვალიერა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერიმენტული პათოლოგიისა და თერაპიის ინსტიტუტი, სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სასწავლო-საცდელი მეურნეობა. სტუმარმა და მისმა თანმხლებმა პირებმა გლისერებით გაისეირნეს ზღვაზე.

იტალიის საგარეო ვაჭრობის მინისტრი გაემგზავრა გუდაუთის რაიონში. აქ იგი იყო ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში, გაეცნო საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას, კოლმეურნეთა ცხოვრებასა და შრომას.

აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ მ. გ. ჩიქოვანმა სადილი გამართა იტალიელი მინისტრის პატივსაცემად.

23 ოქტომბერს იტალიის საგარეო ვაჭრობის მინისტრი დენ ბო წავიდა ადლერს, საიდანაც მოსკოვს გაემგზავრა.

• • •

თბილისში ორ დღეს იმყოფებოდა ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფო ბანკის პრეზიდენტი ო. პოჩალი და ამ ბანკის გამგეობის წევრი ლ. კოვაჩეკი.

სტუმრებს გულთბილი, მეგობრული შეხვედრა მოუწყეს სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორის მუშაკებმა.

ამხ. ო. პოჩალი და ლ. კოვაჩეკი გაეცნენ თბილისს, იყვნენ მუზეუმებში. ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში ნახეს ბალეტი „გორდა“.

ჩეხოსლოვაკიელი სტუმრები გაემგზავრნენ გორს, სადაც დაათვალიერეს ი. ბ. სტალინის სახლ-მუზეუმი.

24 ოქტომბერს ო. პოჩალი და ლ. კოვაჩეკი თბილისიდან სოხუმს გაფრინდნენ.

გაიხსნა საბჭოთა სამრეწველო გამოფენა ჰელსინკში

ჰელსინკი, 23 ოქტომბერი. (საქდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიკოიანმა საბჭოთა მთავრობის სახელით დღეს ჰელსინკში გახსნა საბჭოთა კავშირის მე-4 სამრეწველო გამოფენა. ფინეთის პრემიერ-მინისტრმა ვ. ი. სუკსელაინენმა და ა. ი. მიკოიანმა გამოფენის გახსნისას სიტყვები წარმოთქვეს. გამოფენის გახსნას დაესწრო ფინეთის პრეზიდენტი უ. კ. კეკონენი.

მეგობრობა, თანამშრომლობა

ვ. ი. სუკსელაინენისა და ა. ი. მიკოიანის გამოსვლა ჰელსინკში საბჭოთა სამრეწველო გამოფენის გახსნაზე

ჰელსინკი, 23 ოქტომბერი. (საქდესი). როგორც უკვე ვიუწყებოდით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიკოიანმა საბჭოთა მთავრობის სახელით დღეს ჰელსინკში გახსნა საბჭოთა კავშირის მე-4 სამრეწველო გამოფენა. ფინეთის პრემიერ-მინისტრმა ვ. ი. სუკსელაინენმა და ა. ი. მიკოიანმა გამოფენის გახსნის სიტყვები წარმოთქვეს.

ფინეთის პრემიერ-მინისტრმა ვ. ი. სუკსელაინენმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირ-ფინეთის ვაჭრობის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ფინეთის ეკონომიკისათვის. ამავე დროს, თქვა მან, ფინეთისა და საბჭოთა კავშირის სავაჭრო ურთიერთობა ხელსაყრელია ორივე მხარისათვის.

ვ. ი. სუკსელაინენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხუთწლიან საგაჭრო შეთანხმებას საფუძვლად დაედო სსრ კავშირისა და ფინეთის 1948 წლის 6 აპრილის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთ დახმარების ხელშეკრულების პრინციპები და ვალდებულებანი.

მიესალმა რა ა. ი. მიკოიანს, როგორც ფინეთის კარგ მეგობარს, რომელიც უკვე მრავალი წელია ენერგიულად ხელმძღვანელობს ორი ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობის განვითარებას, პრემიერ-მინისტრმა სუკსელაინენმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ პირადი კონტაქტი და ურთიერთობა განსაკუთრებით უწყობს ხელს ერთმანეთისაგან განსხვავებულ თვალსაზრისთა გაგებას.

პრემიერ-მინისტრმა სუკსელაინენმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი ჰელსინკში საბჭოთა სამრეწველო გამოფენის გახსნის დიდ მნიშვნელობას და აღნიშნა, რომ მისი ორგანიზატორების წინაშე იდგა დიდი ამოცანა — თვალსაჩინოდ ეჩვენებინათ საბჭოთა კავშირის მეცნიერებისა და მრეწველობის სულ უკანასკნელი მოღწევები. ეამპნათ სსრ კავშირში წარმოების მძლავრი განვითარების შესახებ, საბჭოთა სამრეწველო საქონლის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ.

დასასრულ პრემიერ-მინისტრმა მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც საკუთარი ძალების დაუშურებლად იშრომა ამ გამოფენის მოსაწყობად, რომელიც თვალსაჩინოდ გვიჩვენებს საბჭოთა კავშირის ცხოვრების ყველაზე არსებით მხარეებს.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ა. ი. მიკოიანმა, გახსნა რა საბჭოთა მთავრობის დავალებით მეოთხე საბჭოთა სამრეწველო გამოფენა ჰელსინკში, განაცხადა:

გამოფენები კარგი საშუალებაა მეურნეობის, საგაჭრო შესაძლებლობათა, კულტურის, ხალხის ცხოვრების ურთიერთ გასაცნობად, რაც ხელს უწყობს ურთიერთგაგების ზრდას, ქვეყნებს შორის ნდობისა და მეგობრობის განმტკიცებას.

საბჭოთა სამრეწველო გამოფენა ჰელსინკში, ხაზგასმით აღნიშნა მან, მკაფიო დემონსტრაციაა საბჭოთა კავშირის წარმატებებისა თავისი მეურნეობის მშენებლობაში.

საბჭოთა კავშირი ამჟამად მსოფლიოს მეორე სამრეწველო სახელმწიფოა ამერიკის შეერთებული შტატების შემდეგ და მისი წილი მსოფლიო სამრეწველო წარმოებაში მიხუთედს აღწევს. მრეწველობის მთლიანი პროდუქცია 1959 წელს 1913 წელთან შედარებით 36-ჯერ გაიზარდა. განსაკუთრებით სწრაფი ტემპით იზრდებოდა ქიმიური მრეწველობის პროდუქცია — 127-ჯერ 1913 წელთან შედარებით და მანქანათმშენებლობისა და ლითონდამუშავების პროდუქცია — 240-ჯერ.

საბჭოთა კავშირი, განაგრძო ა. ი. მიკოიანმა, მრავალეროვანი ქვეყანაა. ჩვენი დიდი ხალხის ყველა ეროვნება ურღვევი მეგობრობით და ურთიერთპატივისცემით ცხოვრობს. საბჭოთა ქვეყანაში დიდ და პატარა ეროვნებათა ამ ურთიერთობას საფუძვლად უდევს დიდი ლენინის მიერ შემუშავებული ეროვნული პოლიტიკის განუხრელი განხორციელება. ამ პოლიტიკის განხორციელების ერთ-ერთი მკაფიო მაგალითი იყო ფინელი ხალხისთვის ეროვნული და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მინიჭება ჯერ კიდევ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის გარიჟრაჟზე 1917 წელს.

შეეხო რა საბჭოთა კავშირში ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლებას, ა. ი. მიკოიანმა აღნიშნა, რომ სსრ კავშირის ეროვნულმა შემოსავალმა 1958 წელს თითქმის 20-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის ეროვნული შემოსავლის მოცულობას.

ამჟამად ჩვენი ქვეყნის მშრომელები, მიღწეულ წარმატებებზე დაყრდნობით, ახორციელებენ საბჭოთა ხალხის ეკონომიკის, კულტურისა და მატერიალური კეთილდღეობის ახალი შემდგომი მძლავრი აღმავლობის პროგრამას, ასრულებენ შვიდწლიან გეგმას. 1959-1965 წლებში ჩვენი საბჭოთა მრეწველობის პროდუქცია გაიზრდება დაახლოებით 1,8-ჯერ და მეფის რუსეთის მიერ გამოშვებული პროდუქციის მოცულობას გადააჭარბებს 66-ჯერ.

ჩვენი გამოფენის ექსპონატებს რომ დაათვალიერებთ, განაცხადა დასასრულ ა. ი. მიკოიანმა, დარწმუნდებით, რომ საბჭოთა ადამიანი მშვიდობისათვის აქტიური მებრძოლია, და ამის მკაფიო მაგალითი იყო ნ. ს. ხრუშჩოვის გამგზავრება ამერიკის შეერთებულ შტატებში. ეს მოგზაურობა მშვიდობისადმი საბჭოთა კავშირის მოსწრაფების საუკეთესო დემონსტრაცია. ჩვენი საერთო სახალხო პოლიტიკის დემონსტრაცია იყო, რომელსაც მხარს უჭერენ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოსახლეობის პროგრესული ფენები. ძნელია გადაჭარბებით შეფასდეს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ნ. ს. ხრუშჩოვის ამ მოგზაურობას ჰქონდა საერთაშორისო დაძაბულობის შენელების, ხალხთა შორის მეგობრობისა და ნდობის ახალი ატმოსფეროს შექმნის საქმეში. მან ახალი ფურცელი ჩაწერა ხალხთა ურთიერთობაში.

ახალგაზრდობის საჩუქარი

ლენინის რაიონის კულტურისა და დასვენების პარკში 23 ოქტომბერს მოხდა ერთ-ერთი საინტერესო სასპორტო ნაგებობა — საპარაშუტო კოშკის გახსნა. ეს კოშკი, რომლის სიმაღლე 25 მეტრია, თავიანთი ძალებით ააგეს „დოსაფის“ რაიონის აქტივისტებმა — ფაბრიკა-ქარხნების მუშა-მოსამსახურეებმა და მოსწავლეებმა ნარჩენი მასალისაგან არასამუშაო საათებსა და გამოსახსვლელ დღეებში.

საპარაშუტო კოშკის გახსნისადმი მიძღვნილი მიტინგი გახსნა „დოსაფის“ ლენინის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარემ გ. ზარდიაშვილმა. სიტყვები წარმოთქვეს საპარაშუტო კოშკის აქტიურმა მშენებლებმა — ლითონ-კონსტრუქციის ქარხნის მუშაკებმა ნ. იაკუშევმა, ვ. მელნიკოვმა, რკინიგზის № 1 სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლემ კომკავშირელმა ვ. ფიცხელაურმა, „დოსაფის“ საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ შ. თაბუკაშვილმა. მათ ახალგაზრდებს მიუღოლოს საჩუქარი და წარმატება უსურვეს შრომასა და სწავლაში. კოშკის მშენებლებსა და აქტივისტებს გადაეცათ ჭილდოები.

კოშკიდან პირველები გადმოხტნენ აქტიური მშენებლები ნ. იაკუშევი, ვ. მელნიკოვი, შ. მახარაშვილი და სხვ.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜᲖᲔ: ახალი საპარაშუტო კოშკი თბილისში.

საგზაო-სატვირთო

განიარაღება—ეს არის მთავარი

ვ. ვ. კუზნეცოვის პრეს-კონფერენცია

ნიუ-იორკი, 23 ოქტომბერი. (საქდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის XIV სესიაზე საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ვ. ვ. კუზნეცოვმა საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის მოაწყო პრეს-კონფერენცია, რომლის ტრანსლაციას აწარმოებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სატელევიზიო სადგური.

უპასუხა რა კორესპონდენტთა შეკითხვაზე, ვ. ვ. კუზნეცოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ განიარაღების პრობლემა თანამედროვეობის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა. მან კმაყოფილებით აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მუშაობაში მონაწილე ქვეყნების წარმომადგენელთა დიდმა უმრავლესობამ ამა თუ იმ ფორმით დადებითი შეფასება მისცა ახალ საბჭოთა წინადადებებს განიარაღების შესახებ, რომლებიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ჩამოაყალიბა თავის ისტორიულ გამოსვლაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში 1959 წლის 18 სექტემბერს.

საბჭოთა წინადადებებს, განაგრძო საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა, აგრეთვე დიდი ინტერესით შეხვდა ბევრი სახელმწიფო მოღვაწე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარეთაც და მათ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მსოფლიოს ყველა უბრალო ადამიანმა, რომელმაც ამ წინადადებებში დაინახეს გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფის რეალური გზა.

შეეხო რა ცდებს, რომ წინასწარი განზრახვით დაამახინჯონ საბჭოთა წინადადებების აზრი და საბჭოთა კავშირის ჰეშმარიტი მიზნები განიარაღების საკითხებში, ვ. ვ. კუზნეცოვმა განაცხადა, რომ ძირითადი მიზანი ახალი საბჭოთა წინადადებებისა განიარაღების შესახებ არის მისწრაფება შეიქმნას ისეთი პირობები, როცა არც ერთ სახელმწიფოს ფაქტიურად არ ექნება შესაძლებლობა დაიწყოს საომარი მოქმედება სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ, და რომ ეს წინადადებანი ითვალისწინებენ საერთაშორისო კონტროლის უთუო განხორციელებას განიარაღების მთელი პროცესის მანძილზე.

შეეხო რა შემდეგ კოსმოსური სივრცის მშვიდობიანი გამოყენების დარგში საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხს, ვ. ვ. კუზნეცოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს თანამშრომლობა, ბუნებრივია, უნდა განვითარდეს ყველა დაინტერესებული მხარის თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. სწრაფ პროგრესს კოსმოსის შესწავლის დარგში, განაგრძო მან, უეჭველია, ხელს უწყობს მეცნიერულ-კვლევითი მუშაობის გამოცდილების გაზიარება, რომელიც წარმოებს ამ დარგში სხვადასხვა ქვეყანაში. ითვალისწინებს რა ამას, საბჭოთა დელეგაციას, თავისი მთავრობის დავალებით, შემოაქვს წინადადება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით მოწვეულ იქნას მეცნიერთა საერთაშორისო კონფერენცია კოსმოსური სივრცის შესწავლაში გამოცდილების გაზიარების საკითხზე.

ვ. ვ. კუზნეცოვმა უპასუხა კორესპონდენტთა კითხვებზე და სინანული გამოთქვა, რომ გენერალურ ასამბლეას თავს მოახვიეს არარსებული „ტიბეტის საკითხის“ განხილვა. ეს ნაბიჯი, თქვა მან, წარმოადგენს მხოლოდ „ცივი ომის“ მომხრეთა ხრიკებს, რათა ხელი შეუშალონ საქმიანი ატმოსფეროს შექმნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ჩამოაშორონ გენერალური ასამბლეის ყურადღება დღის წესრიგში დასმული, ნამდვილად დიდმნიშვნელოვანი და სერიოზული საკითხებისაგან.

პრეს-კონფერენციის დასასრულს ვ. ვ. კუზნეცოვმა აზრი გამოთქვა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის ახლანდელი სესია უფრო ხელსაყრელ პირობებში მუშაობს და მოსალოდნელია, რომ ეს სესია უფრო დადებით შედეგებს მიაღწევს, ვიდრე წინა სესიებმა მიაღწიეს.

სასამართლოს დარგიდან — მკვლელი

ღამის 11 საათია. ჭიათურაში, თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჭიათურის დაუსწრებელ განყოფილებაში ლექციები დამთავრდა. მომავალი სამთო ინჟინრები ნახზებითა და კონსპექტებით ხელში ჯგუფ-ჯგუფად გამოვიდნენ შენობიდან და შინისაკენ გასწიეს. დაუსწრებელი განყოფილების სამთო-სამშენებლო ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი ნათელა დადიანი, რომელიც დაბა საჩხერიდან ჭიათურაში დადიოდა ლექციებზე, კიბესთან შეჩერდა და ავტობუსს დაუწყო ლოდინი.

მალე ნათელას წინ მსუბუქი მანქანა „პობედა“ ჩამოდგა. მანქანის კარი გაიღო და იქიდან გადმოვიდა ამავე ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების სამთო-სამშენებლო ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი უშანგი მელქაძე, რომელსაც ნათელა დადიანი კარგად იცნობდა ინსტიტუტიდან და საჩხერიდან.

— ვის ელოდებით, ნათელა? საჩხერისაკენ ხომ არ აპირებთ წამოსვლას? მე წაგიყვანთ, მაინც საჩხერეში მივდივარ.

ქალიშვილი მანქანაში ჩაჯდა. ჭიათურას რომ გასცდნენ, უ. მელქაძემ გზიდან გადაუხვია.

— სად მიდიხართ, აქეთ რა გვინდა?— — ხმა ჩაიგდე, თორემ აქედან ცოცხალი ვერარ წამიხვალ—უყვირა მელქაძემ, მანქანა უდაბურ ადგილას გაიჩერა და გამხეცებული ეცა უმწეო ქალიშვილს.

ქალი მამაცურად იბრძოდა. გამხეცებულმა უ. მელქაძემ თავის საწადელს რომ ვერ მიაღწია, თავში მძიმე რკინა ჩაარტყა. ნათელამ გონება დაკარგა. ამ დროს გზიდან ავტომანქანის ხმა გაისმა. უ. მელქაძემ თავის მანქანა გვერდზე ეცალა კლდის პირას მიაყენა. როდესაც მომავალმა ავტომანქანამ გაიარა, ისევ ეცა თავის მსხვერპლს, მაგრამ ქალიშვილი გონს მოსულიყო და შეეცადა კვლავ გაფთრებული წინააღმდეგობა გაეწია.

უ. მელქაძემ რაკი შეატყო, რომ ვერაფერს გააწყობდა ქალიშვილთან, მანქანიდან ფეხებით გადმოთრია, მიწაზე თრევით კლდესთან მიიყვანა, კრა ფეხი ნახევრად გრძნობადაკარგულ ქალიშვილს და კლდიდან გადაადგა..

ღამის მყუდროებაში უკანასკნელად გაისმა ნათელა დადიანის კივილი. შემდეგ ყველაფერი მიჩუმდა.

მკვლელი ერთხანს გარინდებული ჩასცქეროდა კუპრივით შავ უფსკრულს. როცა დარწმუნდა, რომ მსხვერპლი მკვდარი იყო, ღამის სიბნელეში მიიმალა. თუმცა საბოლოოდ მაინც ვერ მოახერხა ეს. მკვლელს მიაგნეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ გააჩინა მოძალადისა და მკვლელის უშანგი ლეონტიძე მელქაძის საქმე და მას შეუფარდა სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა. განაჩენი მოყვანილია სისრულეში.

ზ. მესხენგისერი,
ო. ნამგალაძე.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

საგას არაკეგი ეკრანზე

ვერ შეეგუა გალიის კედლებს მძვინვარე ვეფხვი. ის გაშმაგებით აწყდება ხან ერთ, ხან მეორე კედელს, ხან კიდევ ლრიალით მივარდება ბადესთან მისულ სტუმრებს. ახლა მისი მყუდროება თბილისის კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მუშაკებმა დაარღვიეს. ისინი კინოფირზე აღბეჭდავენ ვეფხვის ყველა მოძრაობას, და განა მარტო ვეფხვის, კინომუშაკები იღებენ თბილისის ზოოპარკის დანარჩენ მკვიდრთ — მგლებს, მელიებს, მაიმუნებს, აგრეთვე სხვადასხვა ფრინველს.

დაკვირვებით ადევნებენ თვალს ცხოველთა მოძრაობას კინოსტუდიის მულტიპლიკაციური საამქროს მხატვრები ბ. სტარიკოვსკი და ვ. ნასყიდაშვილი. ისინი მალე ტილოზე გადაიტანენ ამ ცხოველთა სახეებს და შექმნიან მულტიპლიკაციური ფილმის პერსონაჟების სურათებს.

მხატვრებთან ერთად ცხოველთა მოძრაობას აკვირდება რეჟისორი ო. ანდრონიკაშვილი. ის სწავლობს ცხოველთა ხასიათებს, მათს გამომეტყველებას, მოძრაობას, რომ შემდგომ ხალხს გააცნოს ამ ცოცხალ მასალაზე შექმნილი „გმირები“.

— ფილმი, რომელსაც ჩვენ ვიღებთ, — გვითხრა ო. ანდრონიკაშვილმა, — მიეძღვნება გამოჩენილი ქართველი მეიგავარაკე სულხან-საბა ორბელიანის დაბადების 300 წლისთავს. სცენარი დაწერა კინოდრამატურგმა კ. გოგოძემ ორბელიანის არაკის — „ვეფხვი, მგელი, მელა და ვირის“ მიხედვით.

მუსიკას მომავალი ფილმისათვის წერს კომპოზიტორი მ. დავითაშვილი.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲜᲖᲔ: მულტიპლიკაციური საამქროს მუშაკები თბილისის ზოოპარკში სწავლობენ ვეფხვის მოძრაობას ფილმისათვის.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.



ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘᲡ ᲮᲐᲖᲖᲔᲐ ᲒᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ

უსმინეთ ჩვენს გროსმაისტერებს

გუშინ საღამოს ჩვენი კორესპონდენტი ტელეფონით დაუკავშირდა ბელგრადის სასტუმრო „ბეტროპოლში“, სადაც ცხოვრობენ საბჭოთა მოჭადრაკეები, გროსმაისტერებს მ. ტალს, ტ. პეტროსიანსა და საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ა. კობლენცს და ესაუბრა მათ.

— დღეს გროსმაისტერები ისვენებდნენ, — დაიწყო საუბარი ა. კობლენცმა. — საბჭოთა მოჭადრაკეებმა ერთად გავატარეთ დასვენების დღე. ვეცნობოდით ბელგრადს, მის ღირსშესანიშნაობებს. ქუჩაში ხალხი ადვილად სცნობდა ჩვენს გროსმაისტერებს, რადგან მათი ფოტოსურათები ახლა ბევრი მაღაზიის ვიტრინას ამშვენებს. გულშემატკივრები ავტოგრაფებს გვთხოვდნენ. უცხოელებმა თავიანთ ხელოვნებისმცოდნეებ

დრო. მაგალითად, ბენკო ერთობოდა ცეკვით, მეტი რა დარჩენია! ჭადრაკის დაფაზე მას „ცეკვებენ“, კიდევ ერთ

ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲘᲔᲚᲝᲑᲐ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲙᲘᲜᲝᲤᲘᲚᲛᲘ

ᲙᲘᲜᲝᲒᲐᲭᲘᲠᲐᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲐᲜᲢᲝᲠᲐ

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲘᲓᲐᲜ, 26 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲜᲐᲮᲔᲗ

ახალი მხატვრული ქართული ფილმი

ᲧᲕᲐᲘᲚᲘ ᲗᲝᲕᲒᲚᲣᲚ

სცენარის ავტორები შ. მანაგაძე, გ. გელოვანი, გ. კალტუნოვი, დამდგმელი რეჟისორი შ. მანაგაძე, ოპერატორი ფ. ვისოცკი, მხატვრები ი. მეძმარიაშვილი, ტ. კრიმკოვსკაია, კომპოზიტორი რ. ლაღიძე, სურათის დირექტორი თ. ლორთქიფანიძე.

როლებში: ლ. ანთაძე, ჯ. ვაშაყმაძე, ნ. კობახიძე. ეპიზოდებში: კ. დაუშვილი, ა. ომიაძე, მ. წულუკიძე, კ. ლლონტი, კ. კავსაძე, გ. გაბელაშვილი, ფ. ხობუა, შ. ლორთქიფანიძე მ. გომიაშვილი, ნ. თავდიშვილი, მ. კეკენაძე, დ. ლოდელიანი.

ლენინის ორდენოსანი კინოსტუდია „ქართული ფილმის“ 1959 წლის ნაწარმოები.

ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

25 ოქტომბერი

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ

19.30 — კინოჟურნალი, 19.45 — — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გადაამლაში“, 19.55 — პოლონეთის კულტურის კვირეულის დახურვა (ტრანსლაცია ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრიდან).

УЗ 05997 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.